N 28/28
06/12/2019

28-28-4-201912061502

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

დეკანის ბრძანება

თიბისი ბანკის სახელობის ,,მონაცემთა მეცნიერის სტიპენდიის"
მოსაპოვებლად სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. რექტორის #258/01-01 15.10.2019 ბრძანების თანახმად ცხადდება კონკურსი თიბისი ბანკის სახელობის ,,მონაცემთა მეცნიერის სტიპენდიის" მისანიჭებლად.
2. საკონკურსო განაცხადის მიღება მოხდეს წლის 10 დეკემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში (თსუ XI კორპუსი, ოთახი #349) 10 სთ-დან 18 სთ-მდე.
3. საკონკურსო განაცხადების განხილვა მოხდეს 2019 წლის 18 დეკემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით.
4. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. სათანადოდ გაფორმებული ხელმოწერილი ოქმი ჩაბარდეს ფაკულტეტის კანცელარიას არაუგვიანეს 25 დეკემბრისა.
5. ბრძანება განთავსდეს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

რამაზ ხომერიკი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
ადმინისტრაცია